

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციები 2017-2018 წლების
ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაზე

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა.....	3
პრიორიტეტი I. ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია კორუფციის პრევენციის მიზნით.....	3
პრიორიტეტი II. კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში.....	5
პრიორიტეტი III. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.....	6
პრიორიტეტი IV. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით.....	7
პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში.....	8
პრიორიტეტი VII. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.....	10
პრიორიტეტი VIII. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში.....	11
პრიორიტეტი IX. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით.....	11
პრიორიტეტი X. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში.....	13
პრიორიტეტი XI. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია.....	14
პრიორიტეტი XII. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში.....	15
პრიორიტეტი XIII. კორუფციის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში.....	15
პრიორიტეტი XIV. კორუფციის პრევენცია ადგილობრივ თვითმმართველობებში.....	16
პრიორიტეტი XV. კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში.....	17
II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა.....	17
კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში.....	18
IDFI-ის ზოგადი რეკომენდაციები:.....	19

ზოგადი მიმოხილვა

IDFI მიესალმება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შედგენას. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ გათვალისწინებული იყო ამ სფეროში არსებული ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულება. მიუხედავად ამისა, პირველად დოკუმენტში სათანადოდ არ იქნა ასახული ის საკითხები, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) ბოლოდროინდელ ანგარიშებში არის ხაზგასმული. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ახალ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყოს ის საკითხები და მიმართულებები, რომლებიც 2016 წლის ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე იქნა განხილული და მთავრობის მიერ ვალდებულებად აღებული.

ზოგადი კომენტარის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში ტექნიკურად გადატანილია წინა სამოქმედო გეგმის ქვეთავები, ინდიკატორები და შესაბამისი ღონისძიებები. ზოგიერთი მათგანი არ არის მორგებული ახალ სამოქმედო გეგმაზე და შესაბამისად გადასახედი და დასახვეწია. ამასთან, წინა სამოქმედო გეგმის სტანდარტის გათვალისწინებით, IDFI-ის მოსაზრებაა, რომ სამდივნოს ჰქონდა შესაძლებლობა, მოეხდინა კოორდინაცია პასუხისმგებელ უწყებებთან და შემოეთავაზებინა უფრო მეტად ამომწურავი დოკუმენტები, რომლებიც სათანადოდ ასახავდა საერთაშორისო ვალდებულებებს, წინა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების საპასუხო ღონისძიებებს და მეტად განავითარებდა წინა სამოქმედო გეგმის პრაქტიკას. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ გეგმის დამტკიცებამდე მოხდება მისი კიდევ უფრო დახვეწა, საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და განახლება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი სამოქმედო გეგმის საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ მოხდეს გეგმის ე.წ. *ex post* შეფასება, რაც მონაწილე მხარეებს საშუალებას მისცემს, გააანალიზონ ის მიღწევები და ხარვეზები, რომლებიც სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში წარმოჩინდა.

IDFI-მ 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიაში შეაფასა არსებული აქტივობები და პრიორიტეტების მიხედვით წარმოადგინა რეკომენდაციები სხვადასხვა ღონისძიებების და მიმართულებების დამატების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტები და მათ ფარგლებში მოცემული ღონისძიებები.

პრიორიტეტი I. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია

ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია მოიცავს საბჭოს საქმიანობაში იმ უწყებების ჩართვას, რომლებიც არ არიან აქტიური და სამოქმედო გეგმაში არ არიან წარმოდგენილი ვალდებულებებით. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ წარმოადგინოს კონსოლიდირებული ინფორმაცია იმ უწყებების შესახებ, რომლებიც არ/აღარ მონაწილეობენ ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობაში. სასურველია ეს ინფორმაცია სამდივნომ წარმოადგინოს საბჭოს მორიგ

სხდომაზე. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტში არ არის მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი უწყებები, როგორცაა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი.

IDFI-ის რეკომენდაციაა, 1.1 შედეგის ინდიკატორში ოთხი შეხვედრის ნაცვლად განისაზღვროს საბჭოს სულ მცირე ექვი შეხვედრა, რაც დებულებაში ფორმალურად განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე ორი შეხვედრით მეტია. ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ საბჭო მოწოდებულია შეიკრიბოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ მინიმალურ რაოდენობაზე მეტჯერ.

ამასთანავე, [ანტიკორუფციული საბჭოს დებულების მე-2 მუხლით](#) გაწერილია იმის შესაძლებლობა, რომ საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავდეს მოადგილე. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის გამოცდილებიდან გამომდინარე, თავმჯდომარის მოადგილის ფუნქცია დაეკისროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას. ამასთანავე, რეკომენდებულია, თავმჯდომარის მოადგილეს მიეცეს დღის წესრიგში საკითხების დაყენების შესაძლებლობა, რაც საბჭოს მუშაობას უფრო ინკლუზიურს გახდის. სასურველია, აღნიშნული ცვლილება ღონისძიების სახით იყოს ასახული პირველ პრიორიტეტში.

IDFI-ის რეკომენდაციაა, 1.1.3 აქტივობაში მოცემული რისკების შეფასების მეთოდოლოგია საბჭოსთვის წარდგენამდე განხილული იყოს საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

1.3 შედეგის ერთ-ერთი ინდიკატორი შემდეგი ფორმით არის ჩამოყალიბებული - „ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტის ხარისხი გაუმჯობესებულია“. აღნიშნული ფორმულირება არის ბუნდოვანი და ეფუძნება სუბიექტურ შეფასებას. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, შეიცვალოს ინდიკატორი და მოხდეს მისი დაკონკრეტება.

1.4.1 აქტივობა უკვე იყო წარმოდგენილი 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და GRECO-ს და OECD-ACN-ის რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა ისედაც წარმოდგენს საბჭოს სამდივნოს [დებულების მე-6 მუხლის “ი” პუნქტით](#) გათვალისწინებულ ვალდებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი, როგორც ღონისძიების, სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბება არ არის მიზანშეწონილი. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით საქართველოში გაიმართოს რეგიონული ანტიკორუფციული კონფერენცია, სადაც მონაწილეებს ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარების საშუალება ექნებათ. ამ ღონისძიებაზე პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო.

IDFI ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს OECD-ACN-ის [მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიშის რეკომენდაციების](#) შესრულებას. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად, სასურველია ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის სრული მიხლოებული ბიუჯეტის დაანგარიშება, რათა აქტივობების განხორციელებისთვის წინასწარ მოხდეს თანხის განსაზღვრა.

ცნობიერების ამაღლების ნაწილში **IDFI მნიშვნელოვნად მიიჩნევს** კორუფციის თემაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებას, როგორც ეს OECD-ACN-ის მეორე რეკომენდაციაში არის მოცემული. გარდა ამისა, კორუფციის შესახებ უნდა გაძლიერდეს საგანმანათლებლო აქტივობები სპეციფიურ ინტერესთა ჯგუფებთან მიმართებაში.

IDFI-ის რეკომენდაციაა, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში შეიქმნას ანტიკორუფციული სამმართველო/სამსახური. ეს უკეთესად გამიჯნავს ფუნქციებს

დეპარტამენტის ანტიკორუფციულ და სხვა საქმიანობას შორის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ანტიკორუფციულ საქმიანობაში გაიზარდოს საპარლამენტო ზედამხედველობა და პარლამენტის წევრთა ჩართულობა ანტიკორუფციულ პროცესებში. ამასთან დაკავშირებით, **IDFI იზიარებს OECD-ACN-ის რეკომენდაციას** ანტიკორუფციული საბჭოს მხრიდან რეგულარული საპარლამენტო ანგარიშგების ფორმატის შემუშავების შესახებ.

პრიორიტეტი II. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია

საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია იმ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაში და საჯარო სამსახურის შესახებ ახალ კანონში, რომლის ამოქმედებაც 2017 წლის მეორე ნახევრამდე გადავადდა.

სამოქმედო გეგმის 2.1.1. აქტივობის მიხედვით, საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საჯარო განხილვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2017 წლის დეკემბერი, ხოლო საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს ახალ კანონის ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2017 წლის 1 ივლისი. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში მოცემული ვადა შეიცვალოს და მისი პარლამენტში წარდგენა მოხდეს 2017 წლის 1 ივლისამდე (საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის ამოქმედებამდე). ამ კანონის სწრაფი მიღება ერთ-ერთ რეკომენდაციად არის განსაზღვრული OECD-ACN-ის მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიშში.

IDFI-ის რეკომენდაციაა, მეორე პრიორიტეტის ერთ-ერთ აქტივობად განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენა. ეს ვალდებულება ასევე არის გაწერილი საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 126 მუხლის მე-2 პუნქტში. ამ კანონის მიღება საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან მისი საშუალებით უნდა დარეგულირდეს შრომითი ურთიერთობის, გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

2.1 შედეგის ერთ-ერთ ინდიკატორად მოცემულია - „მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულება საჯარო სამსახურის მიმართ გაზრდილია“. მსგავსი ამ ინდიკატორების გამოსაყენებლად, აუცილებელია, არსებობდეს ე.წ. საწყისი, საბაზისო (baseline) მონაცემები, რომლებთან შედარებითაც მოხდება პროგრესის გაზომვა. **IDFI მიზანშეწონილად მიიჩნევს** ამ ინდიკატორის შეცვლას ან შესწორებას.

IDFI ასევე საჭიროდ მიიჩნევს მამხილებელთა ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაგრძელებას. მამხილებელთა ინსტიტუტის შესახებ ცნობიერება ჯერ კიდევ დაბალია საჯარო დაწესებულებებში, რაც ასევე არის აღნიშნული OECD-ACN-ის ანგარიშში. ამ ანგარიშის მე-10 რეკომენდაციის მიხედვით, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები მამხილებლის ინსტიტუტის შესახებ.

2.2.1 აქტივობა ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით - „საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული საჯარო მოხელეთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მიხედვით სახელმძღვანელოს განახლება“. ეს ფორმულირება ქმნის იმის განცდას, რომ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი უკვე დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ,

რაც არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას. მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულების განხორციელების ეტაპში დაემატოს ცალკე მონაკვეთი, სადაც გაწერილი იქნება ეთიკის კოდექსის დამტკიცების ვალდებულება.

პრიორიტეტი III. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში

პრიორიტეტის დასახელებიდან გამომდინარე, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, აქტივობებში დაემატოს ისეთი ღონისძიებები, რომელთა ძირითადი აქცენტი იქნება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. შესაძლებელია, დამატებით აქტივობებად ჩამოყალიბდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ელექტრონული ჩართულობის და ელექტრონული გამჭვირვალობის მექანიზმების გაუმჯობესებას.

სამოქმედო გეგმის ამ პრიორიტეტის შედეგები და ვალდებულებები არ მოიცავს ღია მონაცემებთან დაკავშირებულ არც ერთ ღონისძიებას. ღია მონაცემები არის საჯარო ინფორმაციის წარმოების ინოვაციური საშუალება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და მონაცემების დამუშავებად ფორმატში მიმოქცევას. ღია მონაცემების თვალსაზრისით საქართველომ უკვე გადადგა სწორი ნაბიჯები და შეიმუშავა ღია მონაცემთა პორტალი - data.gov.ge, სადაც ღია მონაცემების ფორმატში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია. **IDFI საჭიროდ მიიჩნევს** სამოქმედო გეგმაში ღია მონაცემების კუთხით ღონისძიებების დამატებას. კერძოდ, **IDFI თვლის, რომ** აუცილებელია სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყოს OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიშის მე-15 რეკომენდაცია, სადაც საუბარია სახელმწიფო შესყიდვებში ღია მონაცემების დანერგვაზე. გარდა ამისა, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, საქართველოს მთავრობამ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ასახოს [ის ვალდებულებები, რომლებიც მან 2016 წლის 12 მაისს ლონდონის ანტიკორუფციული სამიტის ფარგლებში აიღო](#). კერძოდ, საქართველომ აიღო ვალდებულება, დანერგოს ე.წ. სახელმწიფო კონტრაქტების ღიაობის სტანდარტი (Open Contracting Data Standard) და ღია მონაცემთა საერთაშორისო ქარტიით გათვალისწინებული პრინციპები.

IDFI ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საქართველო შეუერთდეს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას ([Extractive Industries Transparency Initiative - EITI](#)), რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ნავთობის, ბუნებრივი აირისა და მინერალების მომპოვებელი კომპანიების შესახებ მეტი ინფორმაციის გამოქვეყნებას.

2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის პირველადი დოკუმენტის 3.1 შედეგის ერთ-ერთ ინდიკატორად მოცემულია - „საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია“. სასურველია, ინდიკატორის ტექსტში დაკონკრეტდეს, თუ რა საშუალებით მოხდება ამ პროგრესის გაზომვა. ამ შედეგის 3.1.3 აქტივობად მოცემულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება და საკოორდინაციო მექანიზმის განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულია შეხვედრების რაოდენობა, სასურველია, მოხდეს იმის დაკონკრეტება, თუ რამდენი ადამიანის შესაძლებლობების განვითარება არის დაგეგმილი. გარდა ამისა, 3.1.3 აქტივობის განხორციელების ეტაპებში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ფორმით მოხდება საკოორდინაციო მექანიზმის განვითარება, რაც აუცილებელია აქტივობის სისრულისთვის.

3.3.1 აქტივობის თანახმად, უნდა განხორციელდეს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება და ანგარიშების ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე უზრუნველყოფა. **IDFI თვლის, რომ** ამ შინაარსის ღონისძიებები სამოქმედო გეგმაში არ უნდა იყოს წარმოდგენილი აქტივობის სახით, რადგან ანგარიშგება, შეფასება და მონიტორინგი ისედაც დამკვიდრებული პრაქტიკაა და მიმდინარე ღონისძიების სახე აქვს. ამგვარი ფორმულირების ნაცვლად, შესაძლებელია, რომ ანგარიშგების და მონიტორინგის ვალდებულებები გაიწეროს ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის და ანტიკორუფციული საბჭოს დებულებებში, რაც ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებად ჩაითვლება.

2016 წლის 12 მაისს ჩატარებული ლონდონის ანტიკორუფციული სამიტის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო ოფშორული კომპანიების მფლობელობის საკითხს. ეს იქიდან გამომდინარეობდა, რომ სამიტი დაემთხვა ე.წ სკანდალური პანამის დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოფშორული კომპანიები ფულის გათეთრების ერთ-ერთი საშუალებაა. ლონდონის სამიტზე 6-მა სახელმწიფომ (ავღანეთი, საფრანგეთი, კენია, ნიდერლანდების სამეფო, ნიგერია და დიდი ბრიტანეთი) აიღო ვალდებულება, აწარმოოს ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების რეალური ბენეფიციარების რეესტრი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აუღია ასეთი რეესტრის შექმნის ვალდებულება, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განიხილავს რეესტრის შექმნის საკითხს. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აიღოს ვალდებულება ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარების რეესტრის შექმნის შესახებ.

პრიორიტეტი IV. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით

ცნობიერების ამაღლების პრიორიტეტში გაწერილ ღონისძიებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯამში კორუფციის შესახებ ცნობიერების ამაღლება იგეგმება სულ მცირე 50 ადამიანისთვის, რაც, IDFI-ის მოსაზრებით, არ არის საკმარისი. IDFI-ის რეკომენდაციაა, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის გაიწეროს რამდენიმე ღონისძიება, რაც სამიზნე ჯგუფების უკეთესად ინფორმირების საშუალებას იძლევა.

სამიზნე აუდიტორიის გაფართოების გარდა, **IDFI მნიშვნელოვნად თვლის** საზოგადოებრივი ცნობიერების დონის განსაზღვრას, რაც კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლებით უნდა დადასტურდეს. მხოლოდ ამგვარი კვლევის ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი, სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესების ხარისხის გაზომვა.

4.1.3 ღონისძიების მიხედვით, დაგეგმილია ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და განსაზღვრულია შეხვედრების ჩატარება სულ მცირე 2 რეგიონში. **IDFI საჭიროდ მიიჩნევს**, როგორც რეგიონების გაფართოებას, ისე შეხვედრების რაოდენობის გაზრდას. გარდა ამისა, სასურველია სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენება და ცნობიერების კამპანიაში მედია საშუალებების ჩართვა. **IDFI-ის რეკომენდაციაა**, ერთ-ერთ შესაძლო ღონისძიებად განისაზღვროს ჟურნალისტებისთვის კორუფციის თემაზე ტრენინგის ჩატარება. ამ ტრენინგის საშუალებით შესაძლებელი იქნება

მიმდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების წარდგენა და ჟურნალისტების ინფორმირება მოქმედ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ.

საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების გაუმჯობესებისთვის **IDFI საჭიროდ თვლის** სოციალური მედიის საშუალებით კამპანიის წამოწყებას. სოციალური მედიის კამპანია საშუალებას მისცემს პასუხისმგებელ უწყებებს, დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან.

4.1.4 ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია მხოლოდ ანტიკორუფციული საბჭოს 1 მოდელირებული შეხვედრის ორგანიზება, რაც არ არის თანხვედრაში აქტივობის დასახელებასთან და მის მიზანთან. **რეკომენდირებულია შეხვედრების რაოდენობის გაზრდა ან ღონისძიების დასახელების შეცვლა.**

ამასთანავე, 4.2.3 ღონისძიებაში მოცემულია, რომ იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე შეიქმნება ანტიკორუფციული ბანერი. **IDFI-ის აზრით**, ეს აქტივობა არ არის იმ მნიშვნელობის, რომ საჭირო იყოს მისი დამატება სამოქმედო გეგმაში.

იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულ დონეზე ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიმოფანტულია სხვადასხვა ელექტრონულ რესურსზე, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, მეოთხე პრიორიტეტის ფარგლებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის შეიქმნას ცალკე ვებგვერდი, როგორც ეს OECD-ACN-ის ანგარიშში არის აღნიშნული. ამ ვებგვერდზე განთავსებული იქნება ყველა ის ღონისძიება და მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია საბჭოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის და საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირებისთვის.

პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში

სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციის პრევენციის ნაწილში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პროკურატურის სისტემის ინსტიტუციური რეფორმა. ამ კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია იმ რეკომენდაციების გაზიარება, რომლებიც მოცემულია GRECO-ს მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიშში და OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიშში. კერძოდ, **IDFI მნიშვნელოვნად მიიჩნევს** ახალ სამოქმედო გეგმაში GRECO-ს იმ რეკომენდაციების გაზიარებას, რომლებიც ეხება მთავარი პროკურორის დანიშვნის წესის ცვლილებას იმ ფორმით, რომელიც შეამცირებს აღმასრულებელი ხელისუფლების და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენას მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესზე და საპროკურორო საბჭოს საქმიანობაზე. ამ მოსაზრებას ასევე იზიარებს ვენეციის კომისიის, ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (CCPE) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუციების და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) [2015 წლის 4 ნოემბრის ერთობლივ მოსაზრების დოკუმენტი](#). ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროკურატურის რეფორმა სწორი მიმართულებით მიმდინარეობს, თუმცა მთავარი პროკურორის არჩევის შემოთავაზებული წესი ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის დეპოლიტიზების ამოცანას.

IDFI საჭიროდ მიიჩნევს GRECO-ს ანგარიშში მოცემული იმ რეკომენდაციის ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ასახვას, რომელიც ეხება პროკურორებისთვის საქმეთა გადანაწილების ობიექტური და ნათელი კრიტერიუმების დანერგვის ვალდებულებასა და

ზემდგომი პროკურორების მიერ გადაწყვეტილებებისა და ინსტრუქციების წერილობით დასაბუთების ვალდებულებას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზემდგომ პროკურორებს დაქვემდებარებულ პროკურორებთან მიმართებაში აქვთ ფართო უფლებამოსილება, რაც იერარქიულ სისტემაში ლოგიკური და მისაღებია. ამის მიუხედავად, აუცილებელია ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც საქმეთა განაწილებისას იარსებებს კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი.

5.1.3 ღონისძიების მიხედვით, დაგეგმილია კონცეფციის შესაბამისად პროკურორთა ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის დანერგვა, მისი შემდგომი ანალიზი და სრულყოფა. პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისთვის და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, **IDFI საჭიროდ მიიჩნევს** კონცეფციის შემუშავების პროცესში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას. გარდა ამისა, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა 5.1.5 აქტივობაში მოცემული საპროკურორო საქმიანობის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესშიც.

IDFI-ის რეკომენდაციაა, მოხდეს 5.1.7 ღონისძიების ამოღება. ამ ღონისძიების მიხედვით, 2017 წელს უნდა მოხდეს რაიონულ პროკურორებსა და რაიონული პროკურორების მოადგილეებს შორის ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა, რაც არ არის ისეთი შინაარსის და დატვირთვის ღონისძიება, რომ იგი ცალკე აქტივობის სახით იყოს გამოყოფილი სამოქმედო გეგმაში.

ამასთანავე, არსებობს მთავარ პროკურატურასთან დაკავშირებული ისეთი აქტივობები, რომელთა ცალკე გამოყოფაც ხაზს გაუსვამს მათ მნიშვნელობას. მაგალითად, ღია მმართველობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში მთავარმა პროკურატურამ აიღო ვალდებულება, განავითაროს ადგილობრივი საბჭოები, რომელიც რეგიონებში დანაშაულის პრევენციისაკენ არის მიმართული. **IDFI საჭიროდ მიიჩნევს** ამ ღონისძიების ცალკე გამოყოფას და მის დამატებას 5.1 შედეგში. ამ გზით, უზრუნველყოფილი იქნება ამ ღონისძიებაზე დამატებითი ანგარიშგების საშუალება.

5.2.1 და 5.2.2 ღონისძიებებში საუბარია ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტის და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების და მათი აღსრულების მექანიზმის დახვეწაზე. სასურველია, მოხდეს იმ კონკრეტული ნორმების და შიდა რეგულაციების მითითება, რომელთა დახვეწაც არის დაგეგმილი ამ ღონისძიებებით. გარდა ამისა, 5.5.2 ღონისძიება ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და აღნიშნულის ფარგლებში ერთი სამუშაო შეხვედრის გამართვას, რაც კარგი მმართველობის კუთხით აღიარებული საუკეთესო პრაქტიკაა და ისედაც უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულებების მიერ. აქედან გამომდინარე, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, მოხდეს 5.5.2 ღონისძიების სამოქმედო გეგმიდან ამოღება.

OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიშის პირველ რეკომენდაციაში საუბარია სექტორულ სამინისტროებში ანტიკორუფციული ღონისძიებების განვითარებაზე. რეკომენდაციაში ასევე საუბარია კორუფციის რისკის ინდივიდუალური შეფასების განხორციელებაზე სხვადასხვა დაწესებულებებში. საზოგადოების ნდობის გასაუმჯობესებლად და კარგი მმართველობის პრინციპების გასამყარებლად, **IDFI-ის რეკომენდაციაა**, შეიქმნას უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემული იქნება ამ სფეროსთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი. ეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კორუფციის რისკების იმ შეფასებებს, რომლებიც OECD-ACN-ის რეკომენდაციით უნდა განხორციელდეს.

პრიორიტეტი VII. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციის პრევენცია ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. არსებულ ღონისძიებებთან მიმართებით, დადებითად უნდა შეფასდეს OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების ნაწილის სამოქმედო გეგმის მე-7 თავში ასახვა. თუმცა, ზოგიერთი რეკომენდაცია დოკუმენტს მიღმა დარჩა.

IDFI-ის მოსაზრებით, გამარტივებული შესყიდვების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, 7.1.2.1. ღონისძიება ასევე უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში გამონაკლისების შემცირებას. 7.1.3., 7.1.4. და 7.1.5. ღონისძიებების ინდიკატორები დასახვეწი და დასაკონკრეტებელია (როდესაც ინდიკატორში მითითებულია რაოდენობის ზრდა, აუცილებელია დაკონკრეტდეს, რასთან მიმართებაში იზრდება რაოდენობა, ან მიეთითოს კონკრეტული ციფრი). სამოქმედო გეგმაში ამ ეტაპზე მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, ნათლად არ იკვეთება, იწყებს თუ არა შესყიდვების სააგენტო მუშაობას, OECD-ACN-ის რეკომენდაციის შესაბამისად, დავების განმხილველი ორგანოს სააგენტოსგან განცალკევების მიმართულებით.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის მიღმა დატოვებული ისეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, როგორებიცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებასთან საქართველოს მიერთებისთვის ფორმალური მოლაპარაკებების დაწყება; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში კომუნალური შესყიდვების ნაწილის ასახვა ან ცალკე საკანონმდებლო აქტის მიღება ამ სფეროს რეგულირებისთვის; შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. **ამ რეკომენდაციების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, შესყიდვების სააგენტო ასახოს ისინი სამოქმედო გეგმაში.**

საჯარო ფინანსების ნაწილში, 7.2.1.2. ღონისძიებაში გათვალისწინებულია კანონის გადახედვა, პრაქტიკაში დაგროვებული შენიშვნების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. **IDFI-ის აზრით**, ბუნდოვანია, რა მეთოდით აპირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კანონთან დაკავშირებით პრაქტიკაში დაგროვებული შენიშვნების შესწავლას, ან მათ შეგროვებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს რეგულირების ზეგავლენის შეფასების მექანიზმი, რაც მოიცავს კანონის პრაქტიკაში მოქმედების შესწავლასაც, რთული წარმოსადგენია, როგორ მოხდება ამ პროცესის წარმართვა უწყების მიერ. გარდა ამისა, წინა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ისეთი ფრაზები, როგორიცაა, „ასეთის არსებობის შემთხვევაში“ ან „საჭიროების შემთხვევაში“ მონიტორინგის პროცესში უწყებას დიდ თავისუფლებას აძლევს და მას ფაქტიურად შეუძლია არც კი დაასაბუთოს ღონისძიების განუხორციელებლობა. აქედან გამომდინარე, ამ ღონისძიების დაკონკრეტებისა და დეტალიზების გარეშე სამოქმედო გეგმაში მისი ყოფნა არ არის რეკომენდირებული.

7.2.2. და 7.2.3. შედეგების ინდიკატორები ძალიან ზოგადია, დაკონკრეტების გარეშე ისინი მონიტორინგის მიზანს ვერ მოემსახურება.

პრიორიტეტი VIII. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში

შემოსავლების სამსახურის ღონისძიება 8.1.2. გულისხმობს საგადასახადო შემოწმების დაგეგმვა-განხორციელებას. თუმცა, დეტალურ ღონისძიებებში მხოლოდ შესაბამისი წლების (კვარტლების) გეგმის დამტკიცებაა გათვალისწინებული. უწყება შესაძლოა გეგმის დამტკიცებაში საგადასახადო შემოწმების განხორციელებასაც გულისხმობს, თუმცა, იმისათვის, რომ ჩაშლილი ღონისძიებები მთავარ ღონისძიებას პასუხობდნენ, საჭიროა მათ შორის კავშირი მკაფიოდ გამოჩნდეს.

იგივე საკითხი იკვეთება 8.1.3. ღონისძიებაში, რომელიც საგადასახადო კონტროლის დაგეგმვა-განხორციელებას გულისხმობს, ხოლო დეტალურ ღონისძიებებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ღონისძიებებია გათვალისწინებული.

8.1., 8.2., 8.3., 8.6. და 8.7. შედეგების ინდიკატორები მაჩვენებლების გაზრდაზე მიუთითებენ. IDFI მიიჩნევს, რომ ინდიკატორების ასეთი სახით ფორმულირება ართულებს მათ გაზომვას და მონიტორინგის პროცესს სათანადოდ ვერ მოემსახურება. საჭიროა მათი დაკონკრეტება; გამოჩენა, რასთან მიმართებით გაიზრდება ეს მაჩვენებლები; კონკრეტული რაოდენობების მითითება.

8.3.1. ღონისძიებაში მითითებულია, რომ თანამშრომელთა მონიტორინგი მუდმივი პროცესია. ასეთი ღონისძიების სამოქმედო გეგმაში ცალკე გატანის მნიშვნელობას IDFI ვერ ხედავს. ამასთან ერთად, ბუნდოვანია, როგორ მოხდება ამ ღონისძიების მონიტორინგი. ღონისძიების დატოვების შემთხვევაში უწყება უნდა ეცადოს, დააკონკრეტოს ღონისძიება და მონიტორინგს შეუსაბამოს. იგივე შენიშვნა ეხება 8.3.3. ღონისძიებას.

8.6.1. ღონისძიების ჩაშლილი აქტივობების პირველი ნაწილი სამ აქტივობას მოიცავს და გაწერილია სამოქმედო გეგმის ორივე წელზე. IDFI მიიჩნევს, რომ ეს ღონისძიება მათი ჩაშლის საშუალებას იძლევა; ეს უფრო თვალსაჩინოს გახდის, უწყება რა პერიოდში რომელი ღონისძიების განხორციელებას გეგმავს და მონიტორინგის პროცესსაც გაამარტივებს. იგივე შენიშვნა ეხება 8.6.2. ღონისძიებას.

პრიორიტეტი IX. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით

კერძო სექტორთან მიმართებით კორუფციის პრევენციაზე მუშაობის დაწყება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წინა, 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში. თუმცა, ახალი სამოქმედო გეგმით მოსალოდნელი იყო ამ საკითხის კიდევ უფრო დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება. ამის მიუხედავად, ახალი სამოქმედო გეგმა თითქმის იმეორებს წინა სამოქმედო გეგმის ღონისძიებებს, ზოგი ღონისძიება აღარ არის გათვალისწინებული და თითქმის არ ხდება ახალი აქტივობების შეთავაზება. ყურადღების მიღმა რჩება ბიზნესის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით **OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის** რეკომენდაციები. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესწავლა, ამ რისკებისა და მათი პრევენციის ზომების შესახებ კომპანიებისა და სახელმწიფო მოხელეების დატრენინგება. ამასთან მიმართებით, **სასურველია, 9.1. შედეგში** ერთ-ერთ ღონისძიებად განისაზღვროს კერძო სექტორში კორუფციის პრევენციის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, რომლის ერთ-ერთი საკითხი შესაძლოა იყოს ბიზნესის

კეთილსინდისიერების რისკები და მათთან ბრძოლის გზები, და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სამოქმედო გეგმის განახლების მომენტისთვის ახალი ღონისძიებების განსაზღვრას. ამ კვლევის განმახორციელებელ უწყებად შესაძლოა განისაზღვროს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის 9.1 შედეგის ინდიკატორში გათვალისწინებულია ბიზნესის კეთილსინდისიერების შესახებ რისკების კვლევა, თუმცა ღონისძიება მოიცავს მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას, რაც ვერ იქნება ამ ინდიკატორის მიზანთან თანხვედრაში, და შექმნის პრობლემებს, როგორც ღონისძიების განხორციელების, ისე მისი მონიტორინგის პროცესში. პრობლემურია ინდიკატორის ის ნაწილები, რომლის მიხედვითაც „ბიზნესის კეთილსინდისიერების თემაზე ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა გაზრდილია; ღონისძიებებში მონაწილე პირთა რაოდენობა გაზრდილია“, რადგან ბუნდოვანია, რასთან მიმართებით იზომება რაოდენობათა ზრდა. სასურველია, ინდიკატორში გაწერილი იყოს კონკრეტული რაოდენობები მათი უკეთესი გაზომვადობისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის. იგივე შენიშვნა გასათვალისწინებელია 9.2 და 9.3 შედეგების ინდიკატორებისთვის. მისაღებია ის შემთხვევა, როდესაც რაოდენობის ზრდის ან შემცირების გაზომვა არის შესაძლებელი, მაგალითად, „არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა შემცირებულია“. ამასთანავე, სასურველია, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ 9.2.1. ღონისძიებებში დააკონკრეტოს ტრენინგის თემა

სამოქმედო გეგმაში **ბიზნესომბუდსმენის გაძლიერების** კომპონენტი არ არის ასახული. ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეს ინსტიტუტი, როგორც პასუხისმგებელი უწყება, საერთოდ ქრება, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. **საყურადღებოა, რომ არ მოხდა OECD-ACN-ის რეკომენდაციის ასახვა**, რომელიც ითვალისწინებდა ბიზნესომბუდსმენის შესაძლებლობების გაძლიერებას ბიზნესის კეთილსინდისიერების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით. ბიზნესომბუდსმენის აპარატი უნდა იყოს მნიშვნელოვანი რგოლი სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობაში, მათ შორის, მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს ამ აპარატის ჩართულობა კანონშემოქმედებით პროცესში და სწორედ მან უნდა მიაწოდოს კერძო სექტორს ინფორმაცია მნიშვნელოვანი ცვლილებებისა თუ ინიციატივების შესახებ. გარდა ამისა, ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაციებისა თუ დასკვნების გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა გახდეს სამოქმედო გეგმაში ღონისძიებების ასახვა თუ განახლება. შესაბამისად, **IDFI მიიჩნევს, რომ** ბიზნესომბუდსმენის კომპონენტის გამოტოვება სამოქმედო გეგმიდან შეასუსტებს ბიზნესის კეთილსინდისიერებას.

9.3 შედეგის ინდიკატორში - „საწარმოებში მენეჯერული რგოლის კონკურსის წესით დანიშვნის მიზნით სათანადო წინადადებები შემუშავებულია“, შესაბამისი ღონისძიება არ არის გათვალისწინებული; შესაბამისად, ბუნდოვანია ამ ნაწილის განხორციელება და შეფასება. ამ ინდიკატორის შემდეგი ნაწილი - „ბიზნეს სფეროს წარმომადგენლების პოზიტიური დამოკიდებულების ზრდა ბიზნეს სექტორში კორუფციის დაბალი მაჩვენებლის შესახებ“, იმდენად ზოგადია, რომ ფაქტიურად შეუძლებელია მისი გაზომვა და შეფასება. ამიტომ, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასურველია, გადახედოს ამ ღონისძიებებს და დახვეწოს ისინი.

2016 წლის ნოემბერში IDFI-მ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ერთობლივად შეიმუშავეს პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა [სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვას, გამჭვირვალობას და](#)

ანგარიშვალდებულებას. IDFI-ის რეკომენდაციაა, 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში აისახოს ამ პოლიტიკის დოკუმენტის მიგნებები.

უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ყოფილი საჯარო მოხელეების კერძო სექტორში გადასვლისას ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია. თუ წინა სამოქმედო გეგმით, შესაბამის ნაწილში მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება იყო გათვალისწინებული, ახალ სამოქმედო გეგმაში საერთოდ არ არის ეს საკითხი გათვალისწინებული. შესაბამისად, არ არის ასახული OECD-ACN-ის რეკომენდაცია დასაქმების შემდგომი შეზღუდვებისა („მზრუნავი კარი“) და შესაბამისი აღსრულების მექანიზმის კანონით დარეგულირების შესახებ.

პრიორიტეტი X. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში

შედეგი 10.1-ის ღონისძიება და ინდიკატორები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან. გარდა ამისა, დასახვეწია ინდიკატორის ფორმულირება. შედეგი 10.2-ის ინდიკატორი ბუნდოვანია და შეუძლებელია მისი გამოყენება მონიტორინგის პროცესში. სასურველია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტომ“ გადახედოს აღნიშნულ ხარვეზებს.

შედეგი 10.3-ის შესაბამისი ღონისძიებებით ჯანდაცვის სამინისტრო შემოიფარგლება მხოლოდ ბუკლეტების დამზადებითა და დარიგებით. ასეთი ღონისძიება მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად საკმაოდ სუსტია, ხოლო მისი შესაბამისი ინდიკატორი ზოგადი და არაგაზომვადი. „მოსახლეობის ცნობიერება ამაღლებულია“ დამატებითი რაოდენობისა თუ კონკრეტული განმსაზღვრელის მითითების გარეშე ინდიკატორის ფუნქციას კარგავს. გარდა ამისა, რისკებში მითითებული „საზოგადოების დაინტერესებისა და ჩართულობის დაბალი დონე“ არარელევანტურია ბუკლეტების დარიგებასთან მიმართებით. მოსახლეობის დაინტერესების ნაკლებობა ვერ იქნება ასეთი ღონისძიების განხორციელების შედეგის დაბალი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფაქტორი. ინდიკატორს მიღმა დატოვებული ამ შედეგის მნიშვნელოვანი ნაწილი მინდობით აღზრდის სტანდარტების შესახებ.

სასურველია, ამ ნაწილში ჯანდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებით ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესების შესაბამისი ღონისძიება. გარდა ამისა, რეკომენდირებულია, ჯანდაცვის სამინისტრომ ვალდებულებად აიღოს მთავრობის #229 დადგენილებით გათვალისწინებული ანგარიშგების წარმოება და მათი საჯარო განხილვის უზრუნველყოფა.

ხარჯვის მონაცემების მეტი ღიაობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ჯანდაცვის ხარჯების მონაცემების შესახებ ინფორმაციებისა და სხვა ვიზუალური მასალის გამოქვეყნება, რაც შესაბამისად უნდა აისახოს სამოქმედო გეგმაში. დამატებით, სასურველია, სამინისტრომ აიღოს ვალდებულება სიტუაციური ანალიზისა და შესაბამისი საჭიროების შეფასების წარმოება საყოველთაო ჯანდაცვის სფეროში კორუფციული რისკების შესახებ.

პრიორიტეტი XI. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია

აღსანიშნავია, რომ OECD-ACN-ისა და GRECO-ს მესამე რაუნდის შეფასებები დასრულდა. სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისთვის ოფიციალურად გამოქვეყნებულია ამ ორგანიზაციების შეფასებების მეოთხე რაუნდის ანგარიშები. შესაბამისად, შედეგი 11.1 და მისი შესაბამისი ინდიკატორი, რომლებიც მესამე რაუნდის რეკომენდაციების განხორციელებას ითვალისწინებს, მოძველებულია და მოსარგებია ახალი სამოქმედო გეგმისთვის. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ GRECO-ს ანგარიშები სხვადასხვა რაუნდში სხვადასხვა თემებს ეხება, მის მესამე რაუნდზე მითითება და [ბოლო შეფასების ანგარიშის](#) შესაბამისად ნაწილობრივ ან შეუსრულებელი რეკომენდაციების ასახვა სასურველია დარჩეს.

ღონისძიებებთან მიმართებაში შემდეგი შენიშვნები არის გასათვალისწინებელი: 11.1.1. და 11.1.2 ღონისძიებები საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონის ჰარმონიზაციას ეხება, ამიტომ, **სასურველია**, ეს ორი ღონისძიება გაერთიანდეს, რადგან მიზანშეუწონელია ერთი და იგივე საკანონმდებლო ცვლილების ერთი და იგივე დროს სხვადასხვა ღონისძიებებად გატანა.

შედეგი 11.2-ის ინდიკატორში „მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ზრდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში კორუფციის დაბალი მაჩვენებლის შესახებ“ ბუნდოვანია, თუ რა საშუალებით უნდა გაიზომოს იგი. აქ გასათვალისწინებელია ის ზოგადი კომენტარები, რაც IDFI-ის აქვს ინდიკატორებში მაჩვენებლების ზრდასთან მიმართებით.

ამ ნაწილში სასურველია აისახოს GRECO-ს მესამე რაუნდის ანგარიშის მე-4 რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა ბოლო შეფასების ანგარიშში.¹ ეს რეკომენდაცია არჩევნების პროცესში ყველა ტიპის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციას ეხება. აუცილებელია, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება და მნიშვნელობა მიენიჭოს და მოხდეს მისი ასახვა სამოქმედო გეგმაში.

GRECO-ს მესამე რაუნდის მე-8 რეკომენდაცია ეხება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. ბოლო შეფასების ანგარიშის მიხედვით, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. შესაბამისად, აუცილებელია მისი ასახვა ახალ სამოქმედო გეგმაში. იმის გათვალისწინებით, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვალდებულებები არ არის წარმოდგენილი, ასევე, მონიტორინგის პროცესის ეფექტურობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამის ვალდებულებებთან დაკავშირებით არ არის უზრუნველყოფილი, საჭიროა, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ უზრუნველყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ეფექტური კომუნიკაცია. ხოლო, თუ ეს ვერ ხერხდება სამდივნოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ყველა შესაძლო საკომუნიკაციო რესურსის ამოწურვის შემდეგ), მოხდეს შესაბამისი განმარტების გაკეთება უახლოესი საბჭოს სხდომაზე, სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგიის გაცნობასთან ერთად.

იმის გათვალისწინებით, რომ GRECO-ს მესამე რაუნდის მე-9 რეკომენდაციაც ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა, რაც ეხებოდა საარჩევნო კოდექსის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი სუბიექტების მიმართ ეფექტური და

¹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806cc315>

პროპორციული სანქციების გამოყენებას, უნდა მოხდეს ახალ სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ღონისძიებების ასახვა. იგივე კომენტარი ვრცელდება მე-10 რეკომენდაციაზე.

აქედან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ GRECO-ს მესამე რაუნდის შესრულების ანგარიშის სათანადო შეფასება და მათი ასახვა ახალ სამოქმედო გეგმაში არ მომხდარა. აუცილებელია, ეს ხარვეზი აღმოიფხვრას ახალი სამოქმედო გეგმის მიღებამდე და მასში გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი ღონისძიებები.

პრიორიტეტი XII. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში

თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული 12.1 შედეგის ინდიკატორი და მისი შესაბამისი ღონისძიება 12.1.1. არ შეესაბამება ერთმანეთს და დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, არ იკვეთება ოპტიმიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისი ღონისძიებები, ბუნდოვანია, რა იგულისხმება კონცეპტუალურ ბაზაში.

12.3.1. ღონისძიებას აქვს მიმდინარე ხასიათი, უწყება ჩაბმულია საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში და წარუდგენს ანგარიშებს საქართველოს პარლამენტს. შესაბამისად, **IDFI მიიჩნევს, რომ** ეს ღონისძიება არ ცვლის არსებულ გარემოს და ამოღებული უნდა იქნეს გეგმიდან.

12.4 შედეგის ინდიკატორი შესაბამის ღონისძიებას არ ემთხვევა. ბუნდოვანია, რა შედეგის მიღწევაა დაგეგმილი სამხედრო პოლიციის სტრუქტურული რეორგანიზაციით.

პრიორიტეტი XIII. კორუფციის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემოთავაზებული შედეგი 13.1 ზოგადია და არ მოიცავს მითითებას კონკრეტულ სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 13.1.1. და 13.1.2. ღონისძიებები იმეორებს წინა სამოქმედო გეგმის აქტივობებს, თუმცა წინა სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით არ არის მითითებული კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების და გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების კერძოდ რომელი ნაწილი დაიხვეწება და ანაზღაურებისა და წახალისების სისტემა რა სახით დაინერგება. მითითებულია მხოლოდ საჭიროებისამებრ მათი დახვეწა, ხოლო რასთან მიმართებაში განისაზღვრება საჭიროება, არსებული ფორმულირებებიდან არ იკვეთება. იმის გათვალისწინებით, რომ კომისიას ამ ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი აქვს 2017 წელს, IDFI მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე კომისიას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ხედვა ამ საკითხებთან მიმართებით.

სასურველია, 13.2.3. ღონისძიებაში ეტაპობრივად გაიწეროს საკანონმდებლო აქტების შემუშავება, მიეთითოს, როდის რომელი აქტის შემუშავება მოხდება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.2.4. ღონისძიება ზოგადია და არ იკვეთება ადმინისტრაციული წარმოების რომელი დებულებების დახვეწა მოხდება. გარდა ამისა, კომუნიკაციების ომბუდსმენის 13.3.1 ღონისძიება მოიცავს მხოლოდ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, მხოლოდ 2017

წლისთვის, ხოლო მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის შესაბამისი ღონისძიებები არ არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ენერგომბუდსმენის 13.3.2. ღონისძიება მოიცავს 2017 წელს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადებასა და წარდგენას საქართველოს პარლამენტში. თუმცა, ბუნდოვანია, რატომ დასჭირდება მარტში წარდგენილ საკანონმდებლო პაკეტს განხილვისთვის სექტემბრის თვის განსაზღვრა.

13.3.3. ღონისძიებაში გაურკვეველია, რა მიმართულებით არის დაგეგმილი თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და რა საკითხში ჩაუტარდება თანამშრომლებს ტრენინგები.

13.3.5. ღონისძიებაში სასურველია შეძლებისდაგვარად დაკონკრეტდეს, რომელ კონფერენციებსა და რა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას მოიაზრებს ენერგომბუდსმენი.

პრიორიტეტი XIV. კორუფციის პრევენცია ადგილობრივ თვითმმართველობებში

მე-14 პრიორიტეტთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიშში ხაზგასმულია მუნიციპალიტეტების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ჩართვის მნიშვნელობა და აღნიშნულია, რომ ეს არის დროული ინიციატივა, რადგან ადგილობრივ დონეზე კორუფციის შესახებ საუბრობდნენ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახური. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულებები წინა სამოქმედო გეგმის შემდგომ უფრო გაფართოებულ და მნიშვნელოვან ნაბიჯებს უნდა ასახავდეს.

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში სამი: თბილისის, რუსთავისა და თელავის თვითმმართველი ქალაქი იყო გათვალისწინებული. ხოლო, ახალ სამოქმედო გეგმაში ვალდებულებები აღებული აქვთ მხოლოდ რუსთავისა და თელავის მუნიციპალიტეტებს. ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში მუნიციპალიტეტების ჩართვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოები, თავისი ვალდებულებებით ჩართულნი იყვნენ ახალ სამოქმედო გეგმაში. უფრო მეტიც, განახლებულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში თვითმმართველი ქალაქი თბილისი მოხსენიებულია და განმარტებულია, რომ საწყის ეტაპზე სწორედ ზემოხსენებული სამი ყველაზე დიდი თვითმმართველი ქალაქი შეირჩა.

პრიორიტეტი XV. კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში

IDFI მიესალმება ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ახალი პრიორიტეტის წამოწევას, განსაკუთრებით კი სპორტის სფეროში კორუფციის პრევენციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს და ამ მიმართულებით სპორტის სამინისტროს ჩართვას.

თუმცა, ამ პრიორიტეტის ინდიკატორი იმდენად ზოგადია, რომ ფაქტიურად შეუძლებელს ხდის მის გაზომვასა და შემოწმებას. გარდა ამისა, უწყებას რისკებში მითითებული აქვს არაეფექტური უწყებათაშორისი კომუნიკაცია, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი ღონისძიება მოიაზრებს ეფექტურ უწყებათაშორისი კომუნიკაციის უზრუნველყოფას. შესაბამისად, უწყება თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ ამ ღონისძიების განხორციელება შესაძლოა ჩავარდეს. გარდა ამისა, **სასურველია**, 15.1.1.-ის ღონისძიებებში დაკონკრეტდეს თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მინიმუმი მაინც. 15.1.3.-ის ღონისძიებებში კანონპროექტების დამტკიცების კომპონენტი არ ჩანს, რაც არაეფექტურს ხდის ამ ღონისძიებას, რადგან მხოლოდ კანონპროექტის შემუშავება, თუ ვერ მოხდა მისი დამტკიცება, ფუჭი შრომა იქნება.

15.2.2. ღონისძიების განხორციელების სახით გათვალისწინებულია მხოლოდ სპორტში კეთილსინდისიერების შესახებ პარტნიორობაში (International Sport Integrity Partnership) გაწევრიანების მიზნით მოლაპარაკების დაწყება. შესაბამისად, ეს ღონისძიება არ გვამღვს კონკრეტული შედეგის გაზომვის შესაძლებლობას.

II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის **1.3. ღონისძიებაში სასურველია**, პროფესიონალთა კონკრეტული რაოდენობა გაიწეროს. გარდა ამისა, OECD-ACN-ის რეკომენდაციების ასახვის მიზნით, საჭიროა, მიეთითოს ახლად დანიშნული გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადება. ასევე, OECD-ACN-ის ანგარიშში მითითებულია, რომ არ არსებობს იურიდიული პირების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისები, რომელიც გაითვალისწინებდა დაწესებულებაში (იურიდიული პირი) არსებულ ქცევის სტანდარტებსა და ეფექტურ შიდა კონტროლს. თუმცა, მონიტორინგის ჯგუფებმა დაადგინეს, რომ პროკურორები ითვალისწინებდნენ ასეთ პირობებს. შესაბამისად, ანგარიშში აღინიშნა, რომ პროკურორების ამ დისკრეციის ბოროტად გამოყენების თავიდან ასარიდებლად მიღებული უნდა იყოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება ან სახელმძღვანელო წესები. შესაბამისად, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო უნდა ასახავდეს ამ საკითხს. ხოლო, შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული სახელმძღვანელო განახლება.

სამოქმედო გეგმაში ასევე არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების გადახედვა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის ავტონომიურობის უზრუნველსაყოფად.²

ანტიკორუფციული სააგენტოს გამჭვირვალობის გაზრდა (3.3. ღონისძიება) მხოლოდ თანამშრომელთა გადამზადების გზით არაეფექტურს ხდის აღნიშნულ ღონისძიებას. გარდა ამისა, გამჭვირვალობის გაზრდა არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ ეფექტური კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჭრილში. ასევე, არ არის განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას. შესაბამისად, IDFI მიიჩნევს, რომ გამჭვირვალობის მიზანი ზემოაღნიშნული აქტივობებით ვერ იქნება მიღწეული.

არ არის გათვალისწინებული OECD-ACN-ის რეკომენდაცია ქრთამის აღების შესაბამისი სანქციების გადახედვის შესახებ მათი პროპორციულობის უზრუნველსაყოფად (რეკომენდაცია 17). ამასთანავე, არ არის ასახული უცხოეთის მოქალაქისთვის ქრთამის მიცემის/აღების შესაბამისი OECD-ACN-ის მე-19 რეკომენდაცია.

კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში

OECD-ACN-ის ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში კორუფციის პრევენციას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები ხასიათდება მაღალი ღირებულების კონტრაქტებით. ძირითადი მიმართულებებია მუნიციპალური, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება/მოდერნიზაცია. სახელმწიფოს ეს მიმართულება მრავალი ნაკლოვანებით გამოირჩევა, რაც შემდგომში ქმნის კორუფციულ რისკებს. ამ ნაწილში გამოწვევების საილუსტრაციოდ მოყვანილია კონკრეტული საქმეები და გამოყენებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები, რომლებშიც პრობლემურად არის განხილული გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვები მსხვილ პროექტებში.

IDFI მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს OECD-ACN-ის ანგარიშის ინფრასტრუქტურულ პროექტებში კორუფციის პრევენციის თავის დეტალური გაანალიზება, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ მოხდეს ამ თავში აღნიშნული პრობლემებისა და შესაბამისი რეკომენდაციების კომუნიკაცია პასუხისმგებელ უწყებებთან (რეგიონული განვითარების სამინისტრო, შესყიდვების სააგენტო, მუნიციპალიტეტები, ა.შ.) და შესაბამისი თავის სახით ან შესაბამის ნაწილებში (მაგ. სახელმწიფო შესყიდვების თავში) მათი ასახვა.

² OECD-CAN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიში, იურიდიული პირების პასუხისმგებლობა კორუფციული დანაშაულებისთვის, დასკვნა, გვ. 104

IDFI-ის ზოგადი რეკომენდაციებია:

- მოხდეს OECD-ACN-ისა და GRECO-ს რეკომენდაციების მაქსიმალური ასახვა. საჭიროების შემთხვევაში, სამდივნომ უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის სპეციალური შეხვედრის მოწვევა, სადაც პასუხისმგებელი უწყებები წარმოადგენენ განმარტებებს იმ რეკომენდაციების სამოქმედო გეგმის მიღმა დატოვების შესახებ, რომელთა ასახვაც გეგმაში არ მოხდა;
- ანტიკორუფციული საბჭოს სხდომამდე, რომელზეც მოხდება ახალი სამოქმედო გეგმისა და განახლებული სტრატეგიის დამტკიცება, სამდივნომ მოამზადოს ანალიტიკური დოკუმენტი ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის აღწერის შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება OECD-ACN-ისა და GRECO-ს რეკომენდაციების ასახვის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, იმის მითითებით, თუ რომელი რეკომენდაცია ვერ მოხვდა სამოქმედო გეგმაში და რა იყო ამის მიზეზი. ამავე დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს წინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის შედეგად გაზიარებული გამოცდილება ახალ სამოქმედო გეგმაში;
- მოხდეს სამოქმედო გეგმის პრობლემური ინდიკატორების დახვეწა და მათი ე.წ. SMART (Specific, Measurable, Assignable, Realistic, Time-related) კრიტერიუმების მიხედვით დახვეწა;
- მოხდეს რისკების გადახედვა, მათი დახვეწა იმგვარად, რომ მოერგოს სამოქმედო გეგმის ღონისძიებებს (რისკი და ღონისძიება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს ან არ იყოს ღონისძიებასთან მიმართებაში გაუმართლებელი რისკი);
- უზრუნველყოფილ იქნეს პრობლემურ ნაწილებში მიზნებისა და ღონისძიებების ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან არ მოხდეს უწყების მიერ ღონისძიების ფორმალური განსაზღვრა, რაც არ არის მხარდაჭერილი შესაბამისი ღონისძიებით (მაგალითად, გამჭვირვალობის გაზრდა მხოლოდ თანამშრომლის კომუნიკაციებში გადამზადებით, ან ცნობიერების ამაღლება მხოლოდ ბუკლეტების გავრცელებით);
- მოხდეს ერთმანეთთან დაკავშირებული იმ ღონისძიებების გაერთიანება, რომელთა განცალკევებით მხოლოდ ღონისძიებათა რაოდენობა იცვლება, ხოლო შინაარსობრივად საკითხები ერთმანეთს მოიცავს;
- მოხდეს ზოგადი ვალდებულებების დაკონკრეტება, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მონიტორინგი;
- ღონისძიებებიდან ამოღებული იქნეს ისეთი ზოგადი ფრაზები, როგორებიცაა „საჭიროების შემთხვევაში“, „ასეთის არსებობის შემთხვევაში“, და ა.შ.;
- ისეთი ღონისძიებებისთვის, რომლებიც უკავშირდება საკანონმდებლო ცვლილებებს, საბოლოო ღონისძიებებად განისაზღვროს შესაბამისი ცვლილებების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ღონისძიების არსებობა აზროს კარგავს;
- ისეთი ღონისძიებებისთვის, რომლებიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად, მოხდეს რაოდენობათა და საკითხების განსაზღვრა;
- მოხდეს ინფრასტრუქტურულ პროექტებში კორუფციის პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების გაწერა, OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის ანგარიშის შესაბამისი თავისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. სამდივნომ მოახდინოს კომუნიკაცია იმ უწყებებთან, რომლებიც აუცილებელნი იქნებიან შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის, და მათი საბჭოში გაწევრიანების უზრუნველყოფა.